ხელშეკრულება N 97

ქ.ქუთაისი შედგენის თარიღი: 13 მაისი 2022 წელი

ერთი მხრივ **სსიპ კოლეჯი „იბერია“** (შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი დირექტორის ირაკლი ავალიანის სახით და მეორე მხრივ **ი/მ „დავით მირზაშვილის“** (შემდგომში მიმწოდებელი) სახით, გამარტივებული შესყიდვების საშუალებით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3-ე პუნქტის და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვების ჩატერების წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების საფუძველზე, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

სარეკლემო მომსახურების შესყიდვა (CPV კოდი: 79340000 - სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურებები) (შემდგომში საქონელი) ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, რაც თავის მხრივ წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. ხელშეკრულების ღირებულება

ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **940,00 (ცხრაასორმოცი)** ლარს. **დაფინანსების წყარო: გრანტი.**

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება წინასწარი ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა ხელშეკრულებაზე ხელმოწერიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღეში.

4. ხელშეკრულების კონტროლი და მიღება-ჩაბარების წესი

4,1 ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის შესყიდვების სპეციალისტი გიგა ფახურიძე.

4,2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირებს წარმოადგეს კოლეჯის დირექტორი ირაკლი ავალიანი.

4,3 მომსახურეობა ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გაფორმების შემდეგ (არსებობის შემთხვევაში).

5. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

5,1 მომსახურეობის მიწოდების განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2022 წლის 30 ივნისის ჩათვლით.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6,1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის კონტროლი ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვამდე..

6,2 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული მომსახურეობის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6,3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურეობის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6,4 მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს მომსახურეობა იმ ვადებში, რომელიც მოთითებულია ხელშეკრულების 5,1 პუნქტში.

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7,1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ვადის გასვლის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02 %-ის ოდენობით.

7,2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8,1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8,2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გავალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8,3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10 %-ზე მეტი ოდენობით.

8,4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შესუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

8,5 მხარე ვალდებულია 8,4 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განსაზღვრის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

8,6 ხელშეკრულება ასევე შიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატიცით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

8,7 ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლიარად, რომელთაგან თითოეული გადაეცემა მხარეებს.

9. დაუძლეველი ძალა

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ საქართველოს სასამართლოს მოქმედი კანონის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერსთანავე და მოქმედებს 2022 წლის 30 აგვისტოს ჩათვლით.

შემსყიდველი:

სსიპ კოლეჯი „იბერია“
მის:ქ.ქუთაისი ზ.ანჯაფარიძის N61
საიდენტიფიკაციო კოდი: 212 682 051
სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბანკის კოდი: TRESGE22
სახაზინო კოდი:709137509

ირაკლი ავალიანი

მიმწოდებელი:

ი/მ „დავით მირზაშვილი“
მის: ქუთაისი 26 მაისი N25
საიდენტიფიკაციო კოდი:60001043579
`საქ.ბანკი ბანკი~
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ნ: GE18BG0000000161314202

დავით მირზაშვილი

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8-ე მუხლის შესაბამისად, ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული პირი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ ი/მ „დავით მირზაშვილი“-ს შესყიდვების განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე პირები:

სსიპ კოლეჯი „იბერია“

დირექტორი: /ი.ავალიანი/

შესყიდვების სპეციალისტი: Giga Pakhuridze 60001034646 Digitally signed by Giga Pakhuridze Date: 2022.05.13 12:24:36 /გ.ფახურიძე/